

## საქართველოს სტუდენტთა უფლებების დეკლარაცია

1. ყველა ის პირი, რომელიც უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონით და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებით გასაზღვრული წესით ჩაირიცხა და სწავლობს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ბაკალავრიატის, მაგისტრატურის ან დიპლომირებული სპეციალისტის ასევე დოქტორანტურის პროგრამების გასაველად უფლებამოსილია ისარგებლოს სტუდენტის სტატუსით.
2. დაუშვებელია სტუდენტის სტატუსის თვითნებურად, დროებით შეჩერება ან შეწყვეტა.
3. ყველა სტუდენტი თანასწორია საქართველოს კანონმდებლობისა და საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული ნორმებისა და პრინციპების წინაშე. დაუშვებელია სტუდენტის რაიმე ფორმით დისკრიმინაცია.
4. ყველა ის პირი, რომელიც სარგებლობს სტუდენტის სტატუსით, უფლებამოსილია მიიღოს ხარისხიანი და ყოველმხრივი განათლება.
5. ყველა სტუდენტს აქვს უფლება მონაწილეობა მიიღოს სამეცნიერო, კვლევით (აკადემიური) საქმიანობაში.
6. ყველა სტუდენტს აქვს უფლება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მიიღოს ამომწურავი ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საქმიანობის, მათ შორის საფინანსო და ეკონომიკური საქმიანობების შესახებ.
7. ყველა სტუდენტს აქვს უფლება საყოველთაო, პირდაპირი და თანასწორი არჩევნების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით აირჩიოს წარმომადგენელი და არჩეული იქნეს სტუდენტური თვითმმართველობის ფაკულტეტისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლობით ორგანოებში. უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდების შესაბამისად.
8. დაუშვებელია სტუდენტური თვითმმართველობის საქმიანობაში ჩარევა, როგორც უნივერსიტეტის ადმინისტრაციის, ასევე ნებისმიერი საჯარო დაწესებულების მხრიდან.
9. ყველა სტუდენტს აქვს უფლება თავისუფლად დააფუძნოს ან გაერთიანდეს სტუდენტურ ორგანიზაციებში თავისი ინტერესების შესაბამისად.
10. ყველა სტუდენტს აქვს უფლება თავისუფლად გამოხატოს თავისი აზრი და დასაბუთებული უარი თქვას იმ იდეათა გაზიარებაზე, რომლებსაც სთავაზობენ სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას.
11. ყველა სტუდენტს აქვს უფლება თავისუფლად აირჩიოს სასწავლო პროგრამა.

12. ყველა სტუდენტს აქვს უფლება მონაწილეობა მიიღოს ინდივიდუალური სასწავლო პროგრამის შედგენაში.
13. ყველა სტუდენტს აქვს უფლება საჭიროების შემთხვევაში ისარგებლოს ინკლუზიური განათლებით.
14. ყველა სტუდენტს აქვს უფლება მოითხოვოს პირადი და აკადემიური მოსწრების შესახებ ინფორმაციის კონფიდენციალურობის უზრუნველყოფა.
15. ყველა სტუდენტი უფლებამოსილია საქართველოსა ან და საერთაშორისო კანონმდებლობით და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ დადგენილი წესითა და პირობებით ისარგებლოს მობილობის უფლებით.
16. ყველა სტუდენტი უფლებამოსილია მობილობის პროცესის დროს, შესაბამისი პირობების არსებობის შემთხვევაში, მოითხოვოს სახელმწიფოს მხრიდან თანადგომა.
17. ყველა სტუდენტი უფლებამოსილია მოითხოვოს სახელმწიფოს მხრიდან სოციალური გარანტიებით უზრუნველყოფა.
18. ყველა სტუდენტი უფლებამოსილია შესაბამისი კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემთხვევაში მოითხოვოს სახელმწიფოს ან უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მხრიდან სტიპენდიით ან სწავლის დაფინანსებით უზრუნველყოფა.
19. ყველა სტუდენტს აქვს უფლება ისარგებლოს საუნივერსიტეტო ბაზაზე არსებული ფსიქოლოგის უფასო კონსულტაციით.
20. ყველა სტუდენტი უფლებამოსილია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მხარდაჭერით, პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებისა და პროფესიული წინსვლის მიზნით, ისარგებლოს სტაჟირებით.